სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/71

ქ. თბილისი

24 ივნისი 2021 წ.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, 34-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის და 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად, სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსის, თამარ წერეთლის, სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის ბექა მაისურაძისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დავით მახვილაძის 2021 წლის 23 ივნისის ერთობლივი სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 ივნისის №01-05-02/13 სხდომის ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. წარედგინოს რექტორს წინადადება, 2021/2022 სასწავლო წლიდან 4 წლის ვადით აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი) დასაკავებლად, 2021 წლის 25 ივნისიდან ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე.

2. დამტკიცდეს დასაკავებელი აკადემიური თანამდებობების ჩამონათვალი დანართი 1-ის შესაბამისად.

3. დამტკიცდეს გამოსაქვეყნებელი განცხადება, საკონკურსო პირობები და კანდიდატის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი 2-ის შესაბამისად.

4. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის განაცხადის და ანკეტის ფორმები(დანართი, 3, დანართი 4).

5. დამტკიცდეს აკადემიურ პერსონალთან დასადები ხელშეკრულების ფორმა (დანართი 5).

6. განცხადება ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე პრესაში გამოქვეყნდეს 2021 წლის 25 ივნისს.

7. საკონკურსო კომისიები და სამდივნოები შეიქმნას 2021 წლის 20 ივლისამდე.

8. საკონკურსო განცხადებების მიღება დაიწყოს 2021 წლის 26 ივლისიდან და გაგრძელდეს 30 ივლისის ჩათვლით, 10.00-დან 17.00 საათამდე, შესაბამისი საკონკურსო კომისიის სამდივნოში.

9. 65 წლისა და მეტი ასაკის მქონე პირის მიერ, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის თაობაზე აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების მისაღებად განცხადებების შეტანის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 10 ივლისის ჩათვლით.

10. კონკურსი ჩატარდეს 2021 წლის 9 აგვისტოდან 15 აგვისტოს ჩათვლით. საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის პირველადი შედეგები გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2021 წლის 16 აგვისტოს შესაბამისი საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtu.ge.

11. კონკურსი ჩატარდეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად,

12. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**